

პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა



K 58.647/3





ეროვნული
ბიბლიოთეკა

K 58.647.
K 3

ი. ი. ნიკოზაძე

საიხმე



საქმედგამი
1954


615.79 (C 929)

ქართული
ბიბლიოთეკა

ი. ი. ნიკოზაძე

კულტური
საიკონო

1858.647
3



საქართველოს სსრ
სამედიცინო გამომცემლობა
თბილისი
1954

ავტობიოგრაფია

თავისი მთის ჰაერით, ხშირი წიწვიანი და ფოთლოვანი ტყით, გრანდიოზული ბუნებით და, რაც მთავარია, მინერალური წყლებით, საირმეს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ჩვენ კურორტთა შორის. როგორც სასმელი მინერალური წყლის კურორტი, იგი კარგადაა ცნობილი ჩვენი კავშირის შორეულ რაიონებშიც. ზაფხულის თვეებში იქ მრავალი მშრომელი მიეშურება დაზიანებული ჯანმრთელობის აღსადგენად.

საირმის მინერალური წყლის სამკურნალო თვისებების გონივრული გამოყენებისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია სწორად განისაზღვროს იმ ავადმყოფების კონტინგენტი, რომლებზეც საირმის მინერალური წყალი დადებით თერაპიულ მოქმედებას იჩენს. წინააღმდეგ შემთხვევაში, საირმეში მკურნალობისათვის ავადმყოფთა არასწორად შერჩევას, ეს მეტად სასარგებლო მინერალური წყალი ვერავითარ სარგებლობას ვერ მოიტანს და გარკვეულ შემთხვევებში შეიძლება ზიანის მომტანიც კი შეიქნეს.

ამიტომ საჭიროა ფართო მოსახლეობაც გაეცნოს საირმის მინერალური წყლით სარგებლობის წესს და მის სამკურნალო თვისებებს. ამ საკითხის შესახებ მოგვეპოვება კლინიკურ-ექსპერიმენტული შრომები და საგაზეთო წერილები, ხოლო სამეცნიერო-პოპულარული ხასიათის ლიტერატურა თითქმის არ გაგვაჩნია. ამიტომ, მკითხველთა ფართო მასისათვის განკუთვნილი ეს მცირე ნარკვევი ნაწილობრივ მაინც შეავსებს ხარვეზს.



მედე ცნობები კუჩხიდან შესახებ

საირმის წარსულის შესახებ მცირე ცნობები მოგვეპოვება. არსებობს გადმოცემა, რომ საირმის მიდამოების უღრან ტყეებში ნადირობისას მწყემსებს ირმის ჯოგები შეუმჩნევიათ და მათი დევნის დროს ვიწრო ხეობაში აღმოუჩნეიათ ცივი, გემრიელი წყაროები, როლებსაც ეს ცხოველები ეტანებოდნენ. შემდეგ აქ აღმოცენებულ კურორტს საირმე უწოდეს.

საირმის მიდამოები დასახლებული ყოფილა, რასაც მოწმობს ნასოფლარების ნაშთები.

მრავალი საუკუნის მანძილზე ოსმალთა, სპარსთა და სხვა უცხოელ დამპყრობთა ურდოების შემოსევებს საირმის მიდამოები გაუნადგურებია და გაუპარტახებია.

მეფის რუსეთს და საქართველოს მენშევიკურ მთავრობას, რასაკვირველია, არავითარი ყურადღება არ მიუქცევია საირმისათვის.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ იზრუნა ამ შესანიშნავ მხარეზე და საირმე სწრაფი ზრდის გზაზე დააყენა.

საირმე სრულიად ახალგაზრდა კურორტია. მისი მინერალური წყლის გამოყენება დიდი ხანი არ არის რაც დაიწყო.

საირმის მინერალური წყლის პირველი ქიმიური გამოკვლევა სტუდენტ გ. კელენჯერიძის ინიციატივით ჩაატარა პეტერბურგელმა პროფესორმა ცვეტმა 1912 წ. 1926 წ. და შემდეგ წლებში საირმის წყლის ქიმიური გამოკვლევები ჩატარებულია თბილისელი ქიმიკოსის გ. დ. კუპცისის მიერ.

1932 წლიდან პროფ. ა. პ. წულუკიძის ხელმძღვანელობით დაიწყო საირმის მინერალური წყლების სამკურნალო თვისე-

ბების მეცნიერული შესწავლა როგორც ადგილობრივ, კურორტზე, ისე თბილისში.

ჩატარებულია ამ წყლების მრავალრიცხოვანი ქიმიური ანალიზები. საქართველოს კურორტოლოგიის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის მიერ სისტემატურად შეისწავლება ამ წყლების მოქმედება ავადმყოფებზე. ამ შესწავლის საფუძველზე საირმე სამართლიანადაა მიჩნეული როგორც შესანიშნავი სამკურნალო თვისებების მქონე კურორტი.

საირმე ადმინისტრაციულად მაიაკოვსკის (ყოფილი ბაღდათის) რაიონს ეკუთვნის და დაშორებულია მისი ცენტრიდან—მაიაკოვსკიდან—27 კილომეტრით, ხოლო ქუთაისიდან—55 კილომეტრით. საირმე მდებარეობს მთის მდინარე წაბლარისწყალის და მისი შენაკადის—ბოსტანიას—მეტად ლამაზ ხეობაში, 950 მეტრის სიმაღლეზე ზღვის დონიდან.

მდინარე წაბლარისწყალი, რომელიც იწყება აჭარა-იმერეთის ქედის ჩრდილო-დასავლეთ ფერდობიდან, შუაზე ჰყოფს საირმეს. საირმე გარშემორტყმულია მთებით და მათზე გაშლილი უღრანი ტყეებით, რომლებიც მდიდარია ნაძვით, სოჭით, უხვად გვხვდება აგრეთვე წიფელა, ცაცხვი, თელა, წაბლი და ურთხმელი. უზარმაზარ ტყეებს დაჰყურებს აჭარა-იმერეთის ქედი თავისი ალპური, ნოყიერი საძოვრებით.)

1944 წლამდე მაიაკოვსკიდან საირმეში გადასვლა შესაძლო იყო მხოლოდ ფეხით ან ცხენით. ვიწრო ბილიკი გადივლიდა წარმტაცი სილამაზის, მაგრამ მეტად საშიშ უფსკრულებზე გადაკიდებულ წნულ ბონდის ხიდებზე. ამჟამად საირმე დაკავშირებულია მაიაკოვსკისთან საავტომობილო გზით. წიფვიანი და ფოთლოვანი ტყეებით შემოსილ ხეობაში მგზავრობა მეტად სასიამოვნოა.

საირმეში გადასვლა შეიძლება აგრეთვე ვანის რაიონის ცენტრიდან—სოფელ ვანიდანაც, კურორტ სულორზე (გოგირდის წყალია) გავლით, აჭარა-იმერეთის ქედის ერთ-ერთი ტოტის გადასასვლელით (2000 მეტრის სიმაღლეზე ზღვის დონიდან); მანძილი საირმემდე 32 კილომეტრს შეადგენს. საირმეში მისვლა შეიძლება აბასთუმან-ქუთაისის გზატკეცილითაც, ზეკარის გადასასვლელის გადავლით.

საირმეში არის სანატორიუმი, პანსიონატი, სასტუმრო, პოლიკლინიკა, მეტეოროლოგიური სადგური, კლუბი; მუშაობს ფოსტა, წყლის ჩამომსხმელი ქარხანა; სხვადასხვა ორგანიზაციები და საწარმოები მუშა-მოსამსახურეთათვის აგებენ ლამაზ კოტეჯებს, კურორტის სამმართველო აფართოებს საბინაო ფონდს.

მოწესრიგებულია ავტობუსების მოძრაობა ქუთაისიდან. საირმის ჰავა მთის და ტყის ჰავის თვისებების შეხამებაა. იგი ზომიერად ტენიანია. ზამთარი შედარებით რბილია, თოვლიანი, ზაფხული კი—გრილი და ხანგრძლივი. ზაფხულის პერიოდში საშუალო ტემპერატურა 18° არ აღემატება, ზამთრის თვეებში ტემპერატურა შეიძლება 13° -დე დაეცეს; საშუალო წლიური ტემპერატურა $+10^{\circ}$ უდრის.

ქარები საირმეში არ იცის. ჰაერის შედარებითი ტენიანობა უდრის $75-80\%$, ატმოსფერული ნალექების რაოდენობა— $1000-1200$ მმ წელიწადში. წვიმები ხშირია გაზაფხულსა და შემოდგომაზე, მაგრამ ივნის-სექტემბრის თვეებში, ე. ი. საკურორტო სეზონის პერიოდში, გაცილებით ნაკლებია.

საირმის კლიმატის ჩამოყალიბებას ხელს უწყობს კურორტის მაღალი მდებარეობა ზღვის დონიდან. ხშირი ტყეები, რომლებიც მას გარშემო არტყია, აუმჯობესებს მის მიკროკლიმატს, იცავს კურორტს მტვერისა და ხმაურისაგან.



მინერალური წყაროები

საირმის მინერალური წყლები სასმელი წყლებია. №№ 1,2 და 4 მინერალური წყაროები განლაგებულია მდინარე წაბლარისწყალის მარჯვენა ნაპირზე, ხოლო № 3 წყარო — მის მარცხენა ნაპირზე. წყაროები დაკაბტაებულია.

№№ 1,2 და 3 წყარო გამოდის ნიადაგის ნალექებიდან, ხოლო № 4 წყარო მიღებულია ქაბურღილიდან. ამ წყაროების გარდა, მრავალ ალაგას, როგორც მდინარის პირას, ისე თვით მდინარეში, ამოჩუხჩუხებს მინერალური წყლის პატარა ნაკადები. მდინარის ნაპირები და მთის ფერდობები ალაგ-ალაგ მოწითალოდ და აგურისფერად არის შეფერილი მინერალური წყლების რკინის ქანგით, რაც ამ ადგილებში მინერალური წყაროების სიუხვეს მოწმობს.

ქიმიური შემადგენლობით საირმის მინერალური წყლები წარმოადგენენ ნახშირმჟავა ჰიდროკარბონატ-ნატრიუმ-კალციუმიან წყლებს. ცალკეული წყაროები ერთმანეთისაგან განსხვავდება ქიმიური ელემენტების მეტ-ნაკლებობით, მინერალიზაციის სიძლიერით, გაზის შემცველობით და დებიტით; წყაროები ქიმიური შემადგენლობის მუდმივობით ხასიათდება და მრავალი წლის განმავლობაში არ იცვლება. ყველა წყალი ცივი, გემრიელი და სასიამოვნო დასალევია.

ბოთლებში წესიერად ჩამოსხმული საირმის მინერალური წყლის ქიმიური შემადგენლობა საგრძნობლად არ იცვლება არც დიდ მანძილზე გადატანისა და არც დიდი ხნით შენახვის შემდეგ. ამის გამო, ამ წყლებით მკურნალობის ჩატარება შესაძლებელია საირმის გარეშეც. მაგრამ, უნდა აღინიშნოს, რომ დროთა განმავლობაში კარგად დაცობილ ბოთლიდანაც კი მინერალური წყლის გაზიანი ნაწილი — ნახშირორჟანგი — მაინც თანდათანობით იკარგება. ამიტომ, საირმის მინერალური წყალი ჩამოსხმიდან ერთი წლის შემდეგ სამკურნალოდ აღარ გამოდგება.



საირმე. მინერალური წყარო № 1 (მარცხნივ).



ქართული
ენების ცენტრი



საირმე. მინერალური წყარო № 2 (მარჯვნივ—სიღრმეში).

საირმის მინერალური წყლების საერთო დებიტი დღე-ღამეში 50.000 ლიტრს აღწევს. ჰიდროგეოლოგიური ღონისძიებების განხორციელება დებიტს საგრძნობლად გაადიდებს.

№ 1 მინერალური წყარო

№ 1 წყარო მოთავსებულია მდინარე წაბლარისწყალის მარჯვენა ნაპირზე, № 4 და № 2 წყაროებს შორის. იგი გამოდის ნიადაგის ზედა ფენებში, მოქცეულია ცემენტით ამოლესილ აუზში, საიდანაც საერთო სარგებლობისათვის გადმოდის რკინის მოკლე მილით. წყარო გადახურულია მინიანი ტალავებით. ამ წყაროს დებიტი დღე-ღამეში 1500 ლიტრს უდრის. იგი ცივია—მისი ტემპერატურა მერყეობს 10-დან 13⁰-დე, საკმაოდ გაზიანია და სასიამოვნო გემოსი.


მოგვყავს მისი ქიმიური ანალიზი:*)

№ 1 წყაროს წყლის ანალიზი

სინჯი აღებულია 9/IV—1947 წ., ანალიტიკოსი — ნ. ა. ქიტუაშვილი; დებიტი—1.310 ლ 24 ს; ტემპერატურა—9,5⁰ C; მკვრივი ნარჩენი გაშრობილი 105⁰C—3,010 გ 1 ლ.

| იონები | გრამები 1 ლ | მგ ეკვ. | მგ ეკვ. % |
|-----------------------------------|----------------|---|-----------|
| ნატრიუმი+კალიუმი Na'+K' | 0,6682 | 29,05 | 66,13 |
| კალციუმი Ca'' | 0,2920 | 14,60 | 33,3 |
| მაგნიუმი Mg'' | 0,0035 | 0,28 | 0,64 |
| ქლორი Cl' | 0,1646 | 43,93 | 100,00 |
| სულფატი SO ₄ '' | 0,0066 | 4,70 | 10,90 |
| ჰიდროკარბონატი HCO ₃ ' | 2,3790 | 0,14 | 0,2 |
| | | 39,09 | 88,78 |
| | | 43,03 | 100,00 |
| კაუნარი SiO ₂ | 0,0760 | კლასიფიკაცია პალმერით | |
| საერთო მინერალიზაცია | 3,5599 | S ₁ =11,22% S ₂ =0,00% | |
| თავისუფალი | | A ₁ =54,91% A ₂ =33,87% | |
| ნახშირორჟანგი CO ₂ | 1,4960 | 100,00% | |

კურლოვის ფორმულა



1) მინერალური წყლების ქიმიური ანალიზები მოყვანილია ნაშრომიდან „Технический проект округа и зон санитарной охраны курорта Саирме“, 1947 г.

№ 2 მინერალური წყარო

ეს წყარო მოთავსებულია წაბლარისწყალის მარჯვენა ნაპირზე და № 1 წყაროდან დაშორებულია დაახლოებით 30 მეტრით. მისი წყალი ნიადაგის ძირითადი ქანების ნაპრალებიდან გამოდის და გროვდება ცემენტით ამოლესილ აუზში საიდანაც რკინის მოკლე მილით გადმოდის. წყარო გადახურულია მინიანი ტალავებით; მისი დებიტი დღე-ღამეში 1000 ლიტრს აღწევს. ტემპერატურა—10 — 12°, საკმაოდ გაზიანია და სასიამოვნო გემოსი.

№ 2 წყაროს წყლის ანალიზი

სინჯი აღებულია 9 IV—1947 წ., ანალიტიკოსი—ნ. ა. ქიტუაშვილი; დებიტი—480 ლ 24 ს; ტემპერატურა—10,2°C; მკვრივი ნარჩენი გაშრობილი 110°C—6,013 გ 1 ლ.

| იონები | გრამები 1 ლ | მგ ეკვ. | მგ ეკვ. % |
|--|----------------|---|-----------|
| ნატრიუმი+კალიუმი Na' + K' | 1,3586 | 59,07 | 65,57 |
| კალციუმი Ca" | 0,3200 | 16,00 | 17,77 |
| მაგნიუმი Mg" | 0,1830 | 15,01 | 16,66 |
| | | 90,08 | 100,00 |
| კლორი Cl' | 0,5070 | 14,79 | 16,42 |
| სულფატი SO ⁴ " | 0,0139 | 0,29 | 0,32 |
| ჰიდროკარბონატი HCO ₃ ' | 4,5750 | 75,00 | 83,26 |
| | | 90,08 | 100,00 |
| კაჟნარი SiO ₂ | 0,0270 | | |
| საერთო მინერალიზაცია | 7,0425 | კლასიფიკაცია პალმერით S ₁ =16,74% S ₂ =0,00% | |
| თავისუფალი ნახშირორჟანგი CO ₂ | 1,3200 | A ₁ =48,83% A ₂ =31,13% 100.00% | |

კურლოვის ფორმულა CO₂—1,3 გ M_{7,0} $\frac{HCO_3 83}{Na''63Ca 18 Mg 17}$ T—10,2°C

№ 3 მინერალური წყარო

№ 3 წყარო მოთავსებულია წაბლარისწყალის მარცხენა მხარეზე, № 1 წყაროს პირდაპირ. მინერალური წყალი


გროვდება ცემენტით ამოღესილ აუზში. ეს წყარო თავისი დებიტით საირმის ყველა დანარჩენ წყაროებზე შძლავრია— საშუალოდ იგი იძლევა 40 ათას ლიტრს დღე-ღამეში; მისი ტემპერატურა მერყეობს 11-დან 12⁰-დე, გაზიანია და გემრიელი. წყარო გადახურულია მინიანი ტალავებით. ამ წყაროს წყალს წარმოადგენს საყოველთაოდ ცნობილი საირმის მინერალური წყალი, რომელიც იყიდება ბოთლებით.

№ 3 წყაროს წყლის ანალიზი

სინჯი აღებულია 9/IV — 1947 წ., ანალიტიკოსი — ნ. ა. ქიტუაშვილი. დებიტი—9,600 ლ 24 ს; ტემპერატურა—12,2⁰C; მკვრივი ნარჩენი გამშრალი 110⁰C—3,158 გ 1 ლ.

| იონები | გრამები 1ლ | მგ ეკვ. | მგ ეკვ.°/o |
|--|---------------|--------------|-------------------------|
| ნატრიუმი + კალიუმი Na' + K' . | 1,1033 | 47,97 | 77,22 |
| კალციუმი Ca" | 0,2680 | 13,40 | 21,57 |
| მაგნიუმი Mg" | 0,0092 | 0,75 | 1,21 |
| | | <u>62,12</u> | <u>100,00</u> |
| ქლორი Cl' | 0,4042 | 11,79 | 18,93 |
| სულფატი SO ₄ " | 0,0156 | 0,33 | 0,53 |
| ჰიდროკარბონატი HCO' ₃ | 3,0500 | 50,00 | 80,49 |
| | | <u>62,12</u> | <u>100,00</u> |
| კაუჩარი SiO ₂ | 0,0660 | | S ₁ = 19,51% |
| საერთო მინერალიზაცია | 4,9163 | | S ₂ = 0,00% |
| თავისუფალი ნააშირორჩენი CO ₂ | 1,1600 | | A ₁ = 57,71% |
| | | | A ₂ = 22,78% |
| | | | <u>100,00%</u> |

ქურლოვის ფორმულა:



წყლის ქიმიური ანალიზი*)

წყარო № 3

ანალიტიკოსი მ. მზარეულიშვილი

| ერთ ლიტრ წყალში | გრამები | მგ ეკვ. | მგ ეკვ.-% |
|--|---------|---------|-----------|
| კ ა თ ი ო ნ ე ბ ი | | | |
| ნატრიუმი Na ₂ O | 0,9202 | 40,01 | 63,90 |
| კალიუმი K ₂ O | 0,0199 | 0,50 | 0,79 |
| მაგნიუმი MgO | 0,1157 | 9,51 | 15,18 |
| კალციუმი CaO | 0,2441 | 12,21 | 10,51 |
| რკინა Fe ₂ O ₃ | 0,0104 | 0,38 | 0,62 |
| კათიონთა ჯამი | | 62,61 | 100,00 |
| ა ნ ი ო ნ ე ბ ი | | | |
| ქლორი Cl' | 0,4022 | 11,32 | 18,08 |
| ბრომი Br' | 0,0015 | — | — |
| სულფატი SO ₄ " | 0,0802 | 1,67 | 2,67 |
| ჰიდროკარბონატი HCO ₃ ' | 3,0256 | 49,60 | 79,25 |
| ანიონთა ჯამი | | 62,59 | 100,00 |
| ა რ ა დ ი ს ო ც ი ი რ. | | | |
| მ ო ლ ე კ უ ლ ე ბ ი | | | |
| სილიციუმის მჟავა H ₂ SiO ₃ | 0,0800 | | |
| მეტაბორის მჟავა HBO ₂ | 0,0141 | | |
| ალუმინის ჟანგი Al ₂ O ₃ | 0,0330 | | |
| საერთო მინერალიზაცია | 4,9469 | | |
| თავისუფალი ნახშირორჟანგი CO ₂ | 1,9000 | | |
| pH 6,6 | | | |

ბალნეოლოგიური ფორმულა: CO₂—1,9 M_{4,9} $\frac{HCO_3'79}{Na_2O 64}$ T—13,2°C

№ 4 მინერალური წყარო

ეს წყარო მოთავსებულია წაბლარისწყალის მარჯვენა ნაპირზე. წყალი მიღებულია კაბურღილით ნიადაგის ძირი-

*) პროფ. დ. ი. ერისთავი—მინერალური წყალი და მისი ქიმიური ანალიზი, 1954 წ.


თადი ქანებიდან. იგი ყველა წყაროზე უფრო მძლავრად მინერალიზებული და გაზიანია, აგრეთვე ცივი და გემრიელი. ტემპერატურა — 10,5°; დებიტი — 7000 ლიტრამდე დღე-ღამეში.

№ 4 ჭაბურღილის წყლის ანალიზი

სინჯი აღებულია 9/IV—1947 წ., ანალიტიკოსი — ნ. ა. ქიტუაშვილი; დებიტი—7.855 ლ 24 ს; ტემპერატურა—10,5°C; მკვრივი ნარჩენი გაშრობილი 110°C—8,134 გ 1 ლ.

| ი ო ნ ე ბ ი | გრამები 1ლ | მგ ეკვ. | მგ ეკვ. % |
|---|---------------|--|-----------|
| ნატრიუმი + კალიუმი Na' + K' | 2,0051 | 87,18 | 71,63 |
| კალციუმი Ca'' | 0,3400 | 17,00 | 13,97 |
| მაგნიუმი Mg' | 0,2132 | 17,52 | 14,40 |
| | | 121,70 | 100,00 |
| ქლორი Cl' | 0,7674 | 22,39 | 18,40 |
| სულფატი SO'' ₄ | 0,0148 | 0,31 | 0,25 |
| ბიდროკარბონატი HCO ₃ ' | 6,0390 | 99,00 | 81,35 |
| | | 121,70 | 100,00 |
| ქაუნარი SiO ₂ | 0,0850 | კლასიფიკაცია ბალმერით S ₁ = 16,65% S ₂ = 0,00% A ₁ = 52,98% A ₂ = 28,37% | |
| საერთო მინერალი ხაცია | 9,4645 | | |
| თავისუფალი ნახშირორჟანგი CO ₂ | 1,7600 | | |

კურლოვის ფორმულა:



საშარდე ორგანოების დაავადებათა მკურნალობა

საირმის მინერალური წყლით მკურნალობა კარგ შედეგს იძლევა თირკმლებისა და საშარდე გზების, ღვიძლის, ნალვლის ბუშტის და კუჭ-ნაწლავის ქრონიკული ანთებითი დაავადებების დროს. მაგრამ, უკანასკნელ წლებში, საირმეს განსაკუთრებით ეტანებიან საშარდე ორგანოების მოშლილობით დაავადებულნი.

ამის სასარგებლოდ შემდეგი ციფრები ლაპარაკობს. პროფესორ ა. წულუკიძის და ექ. ლ. ცისკარიშვილის მიერ 1932 წ. საირმეში გასინჯული 270 ავადმყოფიდან კუჭ-ნაწლავთა დაავადებით შეპყრობილი იყო 44,8%, საშარდე ორგანოების დაავადებით კი — მხოლოდ 10%. 1949 წლის ზაფხულის სეზონში საირმის სანატორიუმში (მთ. ექიმი ი. ნიკობაძე) გატარებული იყო 201 ავადმყოფი, მათგან საშარდე ორგანოების დაავადება ჰქონდა 50%, ღვიძლისა და ნალვლის ბუშტის დაავადება — 32,3%, ხოლო კუჭ-ნაწლავის ტრაქტისა — 16,9%. 1950 წლის ზაფხულის სეზონში სანატორიუმში სამკურნალოდ ჩამოსულ ავადმყოფთა შორის საშარდე ორგანოების დაავადებით შეპყრობილი იყო უკვე 59,9%, ღვიძლის და ნალვლის ბუშტის დაავადებებით — 25,5%, ხოლო კუჭ-ნაწლავის დაავადებებით — 14,6%. იმავე წელს საკმაოდ დიდი იყო საშარდე ორგანოების დაავადებით შეპყრობილთა რიცხვი პოლიკლინიკურ ავადმყოფთა შორის (48%). საირმეში სამკურნალოდ ჩამოსულთა შორის უროლოგიურ ავადმყოფთა რაოდენობის ასეთივე ზრდას აქვს ადგილი უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში.

ამგვარად, საირმე თანდათან იღებს უროლოგიური კურორტის პროფილს. ის ფაქტი, რომ საირმის, როგორც უროლოგიური კურორტის, პოპულარობა თანდათან იზრდება, შემთხვევითი არ არის, რადგან საირმის მინერალური წყლის მაღალი სამკურნალო ეფექტურობა უროლოგიურ დაავადებათა დროს ეჭვს გარეშეა. ეს სრულებით არ ამცირებს საირმის მინერალური წყლის სამკურნალო მნიშვნელობას როგორც კუჭ-ნაწლავის, ისე ღვიძლისა და ნაღვლის ბუშტის დაავადებათა დროს.

როგორც ქიმიური ანალიზებიდან ჩანს, საირმის მინერალური წყლების მთავარ შემადგენელ ნაწილს ნატრიუმის, კალციუმის, მაგნიუმის ბიკარბონატები წარმოადგენს. ამავე დროს, ყველა წყარო მდიდარია ნახშირმჟავათი—მისი რაოდენობა 1 ლიტრ წყალში საშუალოდ 1,5 გრამს შეადგენს. საშუალო მინერალიზაციის საირმის წყაროები ერთ ლიტრში 3,5 გრამამდე მკვრივ ნივთიერებას შეიცავს. ნახშირმჟავა წყალს სასიამოვნო გემოს აძლევს, ხოლო საშუალო მინერალიზაციის გამო შესაძლებელი ხდება წყლის შედარებით დიდი რაოდენობით მიღება.

მაგრამ წყლის დანიშვნა უნდა ხდებოდეს ავადმყოფის ზოგადი მდგომარეობის, ძირითადი და თანმხლები დაავადების მიხედვით; განსაკუთრებით უნდა გაეწიოს ანგარიში გულისა და სისხლძარღვთა მდგომარეობას. საირმეში მინერალური წყლის დაღვევა უმჯობესია თვით წყაროსთან.

კურორტის გარეშე დაცული უნდა იქნეს წყლის შენახვის პირობები: წყალი უნდა ინახებოდეს მხოლოდ მუქი მინის ჭურჭელში, სიგრილეში, კარგად დაცობილი და მწოლიარე მდებარეობაში.

საირმის მინერალური წყლის სამკურნალო მოქმედება აიხსნება მისი ფიზიკურ-ქიმიური თვისებებით.

საირმის წყალში შემავალი ნახშირმჟავა შარდმდენი საშუალებაა. კალციუმის მარილები ანთების საწინააღმდეგოდ და გამაუტკივარებლად მოქმედებს; კალციუმი და მაგნიუმი იწვევს თირკმლის და საშარდე გზების (თირკმლის მეჩხი, შარდსაწვეთები) კედლების შეკუმშვას და მათი შიგ-

თავის გაძლიერებულ გამოყოფას. საირმის მინერალური წყლის მიღება აძლიერებს შარდის გამოყოფას და, ამგვარად, ხელს უწყობს თირკმლის მენჯში და შარდსაწვეთებში ანთებითი პროცესის შედეგად წარმოშობილი ლორწოს, ჩირქის, მკვდარი უჯრედებისა და სხვათა გამორეცხვას.


შარდის სავალი გზების ზედაპირის ანთებითი პროდუქტებისაგან განთავისუფლება ხელსაყრელ პირობებს ქმნის კალციუმის მოქმედებისათვის ანთების საწინააღმდეგოდ. ამის შედეგად, საშარდე გზების სანათურების შეშუპება ცხრება, ლორწოვანი გარსის დაზიანებული ადგილები ხორცდება, ანთებითი პროცესი ნელდება, მცირდება და ბოლოს ქრება. საშარდე გზების შიგნითა ზედაპირი ნორმალურ აგებულებას ღებულობს და შარდი თავისუფლად და უმტკივნეულოდ გამოიყოფა.

საირმის მინერალური წყალი აძლიერებს თირკმლის ფუნქციას. მაგალითად, თირკმლის მენჯის და თირკმლის პარენქიმის ერთდროული ანთების—პიელონეფრიტის—დროს, როდესაც შარდის გამოყოფა შემცირებულია, საირმის მინერალური წყლის მიღების შემდეგ შარდის გამოყოფა ძლიერდება. ამასთან ერთად, ქრება ის მოვლენებიც, რომლებიც თან სდევს თირკმლების ფუნქციის დაქვეითებას (თავბრუ, თავის ტკივილი, საერთო სისუსტე, კანის სიმშრალე და სხვ.).

საშარდე ორგანოების დაავადების დროს იხმარება № 1 მინერალური წყაროს წყალი, 5—6 ჭიქა დღეში. მკურნალობის კურსის ხანგრძლიობა ერთ თვეს უდრის.

საირმის მინერალური წყალი განსაკუთრებით ეფექტურია თირკმლის მენჯის, შარდის ბუშტისა და შარდსადენის ქრონიკული ანთებითი დაავადებების დროს.

თირკმლის მენჯის ქრონიკული ანთება (პიელოტი) ან მწვავე ანთების გამოსავალს წარმოადგენს, ანდა მას თავიდანვე ქრონიკული ხასიათი აქვს. ქრონიკული პიელოტი უსიცხოდ მიმდინარეობს. ავადმყოფს აწუხებს წელის პერიოდული ტკივილი; შარდის გამოყოფა გაძლიერებულია. პიელოტიანი ავადმყოფის შარდი დიდი რაოდენობით შეიცავს



K 58.647
3

საირმე. სანატორიუმი (1953 წლამდე).

გაბრესის სახ. საქ. სახელმწიფო
საქართველო
ბიბლიოთეკა
თბილისი



ქართული
ენების ინსტიტუტი



საირმე. მდინარე წაბლარისწყალი.


სისხლის თეთრ ბურთულებს, რის გამოც შარდი მღვრიეა-
ავადმყოფის გაცივების ან დიეტის დარღვევის დროს ქრო-
ნიკული პიელიტი ზოგჯერ მწვავედება: შეცივების შემდეგ
სიცხე 39⁰-მდე იმატებს. ავადმყოფს აწუხებს თავის ტკივილი,
პირის სიმშრალე, ზოგჯერ — გულისრევა და პირღებინება.
ამას ემატება მუცლის შებერვა-შეკრულობა; წელის ტკივილი
ძლიერდება, შარდის სიმღვრივე მატულობს.

შარდის ბუშტის ანთება, ანუ ცისტეტი, ისევე როგორც
ქრონიკული პიელიტი, მწვავე ანთების გამოსავალია ან მას
თავიდანვე ქრონიკული მიმდინარეობა აქვს.

ცისტეტიან ავადმყოფს ძირითადად აწუხებს ხშირი და
მტკივნეული შარდვა. ზოგჯერ შარდვა იმდენად მტკივნეუ-
ლია, რომ ავადმყოფი ცდილობს არ მოშარდოს, მაგრამ
ამას ვერ ახერხებს. შარდი გამოიყოფა მცირე ულუფებით.
სისხლის თეთრი ბურთულების შემცველობის გამო შარდი
მღვრიეა, ხშირად სისხლსაც შეიცავს. ქრონიკული ცისტეტის
დროს ავადმყოფს სხეულის ტემპერატურა ნორმალური აქვს
და მისი საერთო მდგომარეობა იმდენად კარგია, რომ იგი
თავის ჩვეულებრივ მუშაობას განაგრძობს.

მრავალი წლის მანძილზე ჩატარებულმა დაკვირვებამ
გვიჩვენა, რომ ქრონიკული პიელიტით და ცისტეტით შე-
პყრობილ ავადმყოფებს საირმეზე მკურნალობის პირველ
დღეებშივე წელის ტკივილი უმცირდებათ, შარდვა ნორმა-
ლური ხდება, შარდი გამჭვირვალეა. მკურნალობის კურსის
დამთავრების შემდეგ კი (№ 1 მინერალური წყალი, 4—5
ჩაის ჭიქა დღეში, 3—4 კვირის განმავლობაში) ავადმყოფები
თავს ჯანმრთელად და მხნედ გრძნობენ, წონაში იმატებენ;
შარდში ჩირქოვანი ბურთულების გამოყოფა საგრძნობლად
მცირდება ან სრულიად წყდება.

როდესაც ანთებითი პროცესი თირკმლის მენჯიდან თვით
თირკმლის ქსოვილზე გადადის და თირკმელში ერთიმეორისაგან
განცალკევებული ჩირქით სავსე ღრუები წარმოიშვება (პიონეფ-
როზი), რასაც თან სდევს შარდსაწვეთის დაზიანებაც—მისი
კედლების გასქელება და სანათურის შევიწროება, საირმის
მინერალური წყალი ასეთ ეფექტურობას ვეღარ იჩენს. ამის
მიუხედავად, პიონეფროზის დროს, რომლის მკურნალობა



ოპერაციულია, საირმეში მკურნალობა წინააღმდეგნაჩვენებია არ არის. ასეთ ავადმყოფთა უმრავლესობა საირმეში თავს კარგად გრძნობს—წონაში იმატებეს, მათ უმცირდებათ შარდის სიმღვრივე და სხვ.

რასაკვირველია, ასეთი ეფექტი მარტო მინერალური წყლის ხმარებას ვერ მიეწერება. იგი კურორტულ ფაქტორთა კომპლექსის მოქმედების შედეგია.

ჩვენი დაკვირვებით, საირმეში პიონეროზიანი ავადმყოფების მკურნალობის შედეგი—მათი საოპერაციოდ მომზადებაა.

საირმის მინერალური წყლით მკურნალობა განსაკუთრებით ეფექტურია საშარდე ორგანოების კენჭოვანი დაავადების დროს.

კენჭი შეიძლება წარმოიშვას თვით თირკმელში, მის მენჯში, შარდსაწვეთებში, შარდის ბუშტში და, იშვიათად, შარდსადენში; საშარდე ორგანოების რომელ ნაწილშიც არ უნდა იყოს კენჭი, იგი ძლიერ ტკივილს იწვევს. ტკივილი შეტევითი ხასიათისაა, რამდენიმე საათს გრძელდება და უფრო ხშირად დაკავშირებულია ავადმყოფის მკვეთრ მოძრაობასთან, დანჯღრევასთან (ცხენით ან ავტომანქანით მგზავრობა). უფრო ხშირად ტკივილს პატარა კენჭები იწვევს, რომლებიც ავადმყოფის მკვეთრი მოძრაობის დროს ადვილად ინაცვლებენ ადგილს; დიდი კენჭი კი, განსაკუთრებით, თუ იგი თირკმლის ქსოვილში ან მენჯშია მოთავსებული, ტკივილს იშვიათად იწვევს და ზოგჯერ ავადმყოფმა არც კი იცის მისი არსებობის შესახებ. ტკივილის შეტევის (კენჭის გადანაცვლების) დროს შეიძლება ავადმყოფს სიცხე მისცეს. ხშირად ტკივილს თან სდევს სისხლიანი შარდვა, რაც იმის შედეგია, რომ ადგილის გადანაცვლების დროს კენჭი აზიანებს საშარდე ორგანოების ქსოვილს.

არც ისე იშვიათია შემთხვევები, როდესაც თირკმლის კენჭი შარდსაწვეთის გაულით შარდის ბუშტში ჩადის და იქიდან შარდს გამოყვება. ამას უფრო ხშირად აქვს ადგილი ქალებში, რადგან ქალის შარდსადენი მოკლე და განიერია. მამაკაცებს, უფრო ხშირად, კენჭი შარდის ბუშტში რჩებათ, სადაც იგი თანდათან იზრდება.

შარდის ბუშტის კენჭის დროს ტკივილი ნაკლებ არის გამოხატული. ამ დროს უფრო დამახასიათებელია ხშირი

შარდვა, რაც შარდის ბუშტის მეორადი ანთებით აიხსნება. მოშარდვისას ზოგჯერ შესაძლებელია კენჭი დაგორდეს და შარდის ბუშტიდან გამოსავალი ხვრელი დახუროს. ამ დროს ავადმყოფს შარდის ნაკადი უწყდება და სხვადასხვა მდგომარეობის მიღება სჭირდება, რომ კენჭი სხვა ალაგას გადაა-
ნაცვლოს.

საშარდე ორგანოების კენჭოვან დაავადებას ხანგრძლივი მიმდინარეობა აქვს. კენჭის გამოყოფა ან ოპერაციით მოშორება არ ნიშნავს სრულ განკურნებას. სრული განკურნებისათვის საჭიროა ორგანიზმში კენჭის წარმომშობ მიზეზებთან ბრძოლა—მარილების ცვლის მოწესრიგება. ამ მხრივ საირმის მინერალურ წყალს ბადალი არ ჰყავს.

თუ კენჭი დიდი არ არის და იგი მოთავსებულია თირკმლის ღრუ ნაწილში, თირკმლის მენჯში, უკიბებში ან შარდსაწვეთში, თუ, იმავე დროს, მისი ზომა საშარდე გზების სანათურს არ აღემატება, კენჭი შეიძლება გაძლიერებულად გამოყოფილი შარდის ერთ-ერთ ტალღას თან გამოყვეს.

ასეთ შემთხვევებში საირმის მინერალური წყალი ისეთი რაოდენობით უნდა დაინიშნოს, რომელიც შარდვას აძლიერებს, სახელდობრ, № 1 მინერალური წყალი—5—7 ჩაის ჭიქა დღეში. საირმის წყალი კენჭის გამოყოფას იმითაც უწყობს ხელს, რომ იგი აძლიერებს შარდის სავალი გზების კედლების შეკუმშვას.

როდესაც კენჭი დიდი ზომისაა და საშარდე გზების სანათურის ზომას აღემატება ან იგი თვით თირკმლის ქსოვილშია მოთავსებული, საირმის მინერალური წყლით მისი გამოდევნა შეუძლებელი ხდება. ასეთ შემთხვევებში მკურნალობის მიზანს წარმოადგენს კენჭის ზრდის შეწყვეტა, რისთვისაც სრულიად საკმარისია დღეში 4—5 ჭიქა წყლის მიღება. საირმის მინერალური წყალი საშარდე ორგანოების კენჭებს არ შლის და არ აღნობს. ასეთი მინერალური წყალი ან სხვა რაიმე საშუალება არ არსებობს.

როგორც აღვნიშნეთ, საირმის მინერალური წყალი შარდის გამოყოფას აძლიერებს და, ამგვარად, მარილებით მდიდარ შარდს აზავებს. ამით იგი ხელს უშლის მარილებით

გადატვირთული, კონცენტრული შარდიდან მარილების და-
ლექვას, რაც ქვიშის და კენჭის წარმოშობის წინაპირობას
წარმოადგენს.

როცა შარდში მარილების რაოდენობა იმდენად დიდია,
რომ, მკურნალობის მიუხედავად, საშარდე გზებში ისინი მაინც
ილექებიან, საირმის წყალი, რომელიც შარდვასა და შარდის
სავალი გზების კედლების შეკუმშვას აძლიერებს, მაინც
გამორეცხს მათ და, ამგვარად, თავიდან აგვაცდენს კენჭის
ზრდის ან წარმოშობის საშიშროებას.

აქედან გასაგებია, თუ რა დიდი პროფილაქტიკური
მნიშვნელობა აქვს საირმის მინერალურ წყალს საშარდე
ორგანოთა კენჭოვანი დაავადების განვითარებასთან ბრძო-
ლაში.

ამიტომ, საირმის წყალი ფართოდ უნდა იქნეს გამო-
ყენებული კენჭის ოპერაციული გზით ამოღების შემდეგაც—
კენჭის განმეორებითი წარმოშობის თავიდან აცილების მიზნით.

ბუნებრივია, რომ დარღვეული მარილის ცვლის გამოსწო-
რებისათვის საირმის მინერალური წყლის ხმარების ეფექტი
საგრძნობლად შემცირდება, თუ ერთდროულად მოწესრი-
გებული არ იქნება ავადმყოფის კვება. კვების ხასიათი განი-
საზღვრება შარდის რეაქციისა და მასში გამოყოფილი მარი-
ლების სახეობის მიხედვით.



ლეიქსა ღ ნალვას ბუშტის დაავადებათა მკურნალობა

საირმეში სამკურნალოდ ჩამოსულ ავადმყოფთა ერთ მესამედს ლეიქლით და ნალვლის ბუშტით დაავადებულნი შეადგენენ.

ნაწლავებიდან ლეიქლში მოხვედრილი საირმის მინერალური წყალი, მოქმედებს რა ლეიქლის მგრძნობიარე ნერვების დაბოლოებებზე, რეტლექსურად აძლიერებს ლეიქლის მრავალფეროვან მუშაობას, მათ შორის ნალვლის გამოყოფას.

ნალვლის ბუშტის და სანალვლე გზების ქრონიკული ანთების დროს მიმართავენ მათ გამორეცხვას (ე. წ. დუოდენალური ზონდაჟი), მაგრამ ანთებითი დაავადების დროს ნალვლის გამოყოფა ხშირად 3 — 4 საათის შემდეგ იწყება, ხოლო ზოგჯერ სრულიად არ ხდება.

საირმის მინერალური წყალი (№ 2, 4 — 5 ჩაის ჰიქა დღეში), აძლიერებს და აჩქარებს რა ნალვლის გამოყოფას, ხელს უწყობს სანალვლე გზებიდან ანთებითი პროდუქტების (ლორწოსი, ჩირქოვანი ბურთულების და ბაქტერიების) გამორეცხვას.

საირმის წყლით მკურნალობის დროს ნალველი თხიერდება, რაც თავის მხრივ კიდევ უფრო აადვილებს მის გამოყოფას.

საირმის სანატორიუმში წლების მანძილზე ჩატარებულმა დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ მკურნალობის კურსის (1 თვე) ჩათავეების შემდეგ ნალველში საგრძნობლად მცირდებოდა ან სულ ქრებოდა ჩირქოვანი ბურთულები, ლორწო და სხვა. ამასთან ერთად, ავადმყოფებს ტკივილი უყუჩდებოდათ, ისინი წონაში მატულობდნენ და საგრძნობლად უმცირდებოდათ ნალვლის ბუშტის ქრონიკული ანთებისათვის დამახა-

სიათბელი მოვლენები: თავის ტკივილი, უგუნებობა, მადის
დაქვეითება, გულისრევა, ბოყინი და სხვ.

ბუნებრივია, რომ რაც უფრო ახალია დაავადება, მით
უფრო ეფექტურია საირმის წყლით მკურნალობა.

ნალვლის ბუშტის კენჭოვანი დაავადების მკურნალობის
შესახებ უნდა ითქვას შემდეგი: იმისათვის, რომ კენჭი ნალვ-
ლის საერთო სადინარის იმ ვიწრო ხვრელში გაეტიოს, რომ-
ლითაც ეს სადინარი თორმეტგოჯა ნაწლავში იხსნება, კენჭი
ძალიან მცირე ზომის უნდა იყოს. ასეთი კენჭის გამოყოფა
კი ავადმყოფთათვის შეუმჩნეველი რჩება. საირმის მინერა-
ლური წყალი არც ნალვლის ბუშტის კენჭებს აღნობს. ამის
მიუხედავად, ნალვლის ბუშტის კენჭით დაავადებულნი საირ-
მეში დიდ შვებას გრძნობენ, რადგან კენჭებით გამოწვეული
ნალვლის ბუშტის ანთება უცხრებათ, ტკივილი უწყნარდებათ.

ამიტომ, საირმის მინერალური წყლით მკურნალობას
ნალვლის ბუშტის კენჭოვანი დაავადების პროფილაქტიკაში
ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორც საშარდე ორგანოების
კენჭოვან დაავადებათა დროს.



კუჭ-ნაწლავის ქიმიკური დაავადებათა მკურნალობა

საირმის მინერალური წყლით მკურნალობა კარგ შედეგს იძლევა კუჭ-ნაწლავის ქრონიკულ დაავადებათა დროს. იგი, როგორც ტუტოვანი წყალი, ხელს უწყობს კუჭ-ნაწლავის ლორწოვანი გარსის ზედაპირიდან ანთების შედეგად წარმოშობილი პროდუქტების ჩამორეცხვას, ხსნის ლორწოს, აძლიერებს კუნთების შეკუმშვას, რასაც თან სდევს საკვების შეთვისების და გადამუშავების გაუმჯობესება.

კუჭ-ნაწლავის დაავადებათა დროს იხმარება № 3 მინერალური წყალი, თითო ჩაის ჭიქა სამჯერ დღეში, ერთი თვის განმავლობაში.

თუ კუჭის კატარი მჟავობის დაქვეითებით მიმდინარეობს, საირმის წყალი მიიღება ჰამამდე ნახევარი საათით ადრე; მჟავობის მომატების დროს—ჰამამდე 1,5—2 საათით ადრე, ხოლო კუჭის ნორმალური მჟავობის შემთხვევაში—ჰამამდე 1 საათით ადრე.

საირმის მინერალური წყლით კუჭის კატარის მკურნალობისას, მჟავობის გარდა, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული აგრეთვე კუჭის ევაკუაციური ფუნქციაც, ე. ი. კუჭიდან ნაწლავში საკვების გადასვლის სიჩქარე.

კუჭის მჟავობის დაქვეითების შემთხვევაში უმჯობესია მინერალური წყლის ნელი სმა, რაც ხელს შეუწყობს კუჭში წყლის უფრო დიდხანს დარჩენას და კუჭის ლორწოვანზე მის უფრო ხანგრძლივ მოქმედებას. კუჭის წვენის მომატებული მჟავობის შემთხვევაში უმჯობესია თბილი მინერალური წყლის ერთბაშად დალევა, რადგან მინერალური წყალი მალე დასტოვებს კუჭს და, გადავა რა თორმეტგოჯა ნაწლავში, აქედან შეანელებს კუჭის სეკრეციას.

როდესაც კუჭი გადატვირთულია ანთების ნიადაგზე წარ-
 მოშობილი ლორწოთი ან კუჭიდან საკვების გადასვლა და-
 გვიანებულია, კარგ შედეგს იძლევა კუჭის გამორეცხვა საირ-
 მის შემთბარი მინერალური წყლით.

კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავა-
 დების ზოგიერთ შემთხვევაში საირმის მინერალური წყლით
 მკურნალობა კარგ შედეგს იძლევა. საირმის წყლით ამ დაავა-
 დებათა მკურნალობა მოითხოვს სიტრთხილეს და ავად-
 მყოფის გულდასმით შესწავლას.


მინერალური წყლის მიღების წესი, ისე როგორც კუჭის
 კატარის დროს, დამოკიდებულია კუჭის მჟავობის მდგომა-
 რეობისაგან. უმჯობესია მინერალური წყალი ნახშირმჟავას
 არ შეიცავდეს. ამისათვის საკმარისია ხმარების წინ
 წყლის შეთბობა.

არანაკლებ ეფექტურია საირმის მინერალური წყალი
 ნაწლავთა ქრონიკული ანთების დროს. წყალში შემავალი
 კალციუმი ნაწლავის ლორწოვან გარსზე ანთების საწინააღ-
 მდეგოდ მოქმედებს და ხელს უწყობს ლორწოს გარეთ გა-
 მოყოფას.

საირმის მინერალური წყალი კარგად მოქმედებს შეკრუ-
 ლობის წინააღმდეგ. თუ შეკრულობა ნაწლავთა მოდუნების—
 ატონიის—შედეგია, ინიშნება ბუნებრივი ტემპერატურის
 (10—12°) მინერალური წყალი, ხოლო თუ იგი ნაწლავთა
 სპაზმით არის გამოწვეული, მიღების წინ წყალი უნდა შე-
 თბეს. ფაღარათობის დროს საირმის მინერალური წყალი
 მცირე რაოდენობით ინიშნება—ნახევარი ჩაის ჭიქა დღეში
 ორჯერ. კუჭის მოქმედების მოწესრიგების შემდეგ შეიძლება
 გადავიდეთ მკურნალობის ჩვეულებრივ წესზე (3—4 ჭიქა
 დღეში).

მსხვილი ნაწლავის ქრონიკული ანთების—კოლიტის—დროს
 კარგ შედეგს იძლევა ჩვეულებრივი გამწმენდი ოყნის შემდეგ
 საირმის მინერალური წყლის ოყნები (1 ლიტრის რაოდენ-
 დენობით).





საირმე. სანატორიუმი (1954 წ.).



ქართული
წიგლმცოდნეობა



საირმე. მარცხნივ—პანსიონატი, მარჯვნივ—კურორტის სამმართველო.

მკურნალობის ჩვენებანი და წინააღმდეგჩვენებანი

საირმის მინერალური წყლით მკურნალობა არავითარ შემთხვევაში არ გამოორიცხავს სხვა სამკურნალო საშუალებათა გამოყენებას, როგორცაა ფიზიო-და დიეტთერაპია, სამკურნალო ფიზკულტურა, მედიკამენტური, კერძოდ, ანტი-ბიოტიკებით მკურნალობა და სხვ. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს დიეტის შერჩევას, რადგან მისმა დარღვევამ შეიძლება საგრძნობლად შეამციროს მინერალური წყლით მკურნალობის ეფექტი.

უნდა გვახსოვდეს, რომ მინერალური წყალი კურორტული მკურნალობის ერთ-ერთი რგოლია და მხოლოდ ყველა კურორტული ფაქტორის (აბაზანები, დასვენება, წამლეულით და სხვა საშუალებებით მკურნალობა, სიმშვიდე, უარყოფითი განცდების მოსპობა და სხვ.) ერთობლივი და შეთანხმებული გამოყენება იძლევა სათანადო შედეგს. **●**

კურორტულ ფაქტორთა შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სანატორიულ რეჟიმს.

მკურნალობის ჩვენებანი

1. თირკმლის, თირკმლის მენჯის, შარდსაწვეთების, შარდის ბუშტის და შარდსადენის ქრონიკული ანთება;
2. საშარდე ორგანოების კენკოვანი დაავადება;
3. საშარდე ორგანოების კენკების ოპერაციული მკურნალობის შემდგომი მდგომარეობა;
4. მინერალური ცვლის, უმთავრესად, შარდმჟავა და მჟაუნმჟავა მარილების ცვლის დარღვევა;

5. ნაღვლის ბუშტის და სანაღვლე გზების ქრონიკული ანთება;

6. ღვიძლის ქრონიკული ანთება;

7. ნაღვლის ბუშტის და სანაღვლე გზების კენჭოვანი დაავადება;

8. სანაღვლე გზების კენჭების ოპერაციული მკურნალობის შემდგომი მდგომარეობა;

9. კუჭის ქრონიკული ანთება ნორმალური, მომატებული და დაქვეითებული მჟავობით კუჭის ევაკუაციური ფუნქციის საგრძნობი მოშლის გარეშე.

10. კუჭის სეკრეციის ფუნქციური მოშლა სეკრეციის გაძლიერებისა და დაქვეითების სახით.

11. წვრილ და მსხვილ ნაწლავთა ქრონიკული ანთება.

მკურნალობის წინააღმდეგმდებარეობა

საირმის მინერალური წყლებით მკურნალობა უშედეგოა და ზოგჯერ ზიანის მომტანიც, თუ წყალი უწესოდ მიიღება ან ავადმყოფთა შერჩევა სწორად არ ხდება.

მკურნალობის წარმატებისათვის, პირველ ყოვლისა, საჭიროა საირმის მინერალური წყლის წესიერად მიღება. საირმეში სამკურნალოდ მოსულ ავადმყოფთა გარკვეულ ნაწილში გავრცელებულია ყოველგვარ საფუძველს მოკლებული აზრი, ვითომ რაც მეტს დაღვეს ავადმყოფი საირმის წყალს, მით უკეთესი სამკურნალო შედეგი იქნება მიღებული.

საირმის მინერალური წყალი არ არის ორგანიზმისათვის განურჩეველი საშუალება; ამიტომ, წყლის დანიშვნა უნდა განსაზღვროს არა ავადმყოფმა, არამედ ექიმმა.

საირმეში არც ისე იშვიათად ვხვდებით ავადმყოფებს, რომლებიც კურორტზე სამკურნალოდ ექიმის რჩევით კი არ არიან ჩამოსული, არამედ საკუთარი გადაწყვეტილებით ან ნათესავის თუ ნაცნობის „მეგობრული“ რჩევით. მათ შორის ხშირია ავადმყოფები უწესოდ ნამკურნალები სუსუნატით ან ტრავმით გამოწვეული შარდსადენის შევიწროვებით, რომლებიც, რასაკვირველია, საირმის წყლით მკურნალობის შემდეგ ვერავითარ შევბას ვერ გრძნობენ.

ასევე უმიზნოა და ზოგჯერ საშიშიც წინამდებარე ჯირკვლის ჰიპერტროფიის (გადიდების) მკურნალობა საირმის წყლით. ეს დაავადება მოხუცებულ მამაკაცებში გვხვდება. ამ ასაკში ე. წ. წინამდებარე ჯირკვალი ხშირად განიცდის გადიდებას. ამის გამო, შარდსადენის ის ნაწილი, რომელიც ჯირკვლის სისქეშია მოთავსებული, ვიწროვდება და შარდვას აფერხებს. ავადმყოფი ძალიან წვრილი ნაკადით ან წვეთობით შარდავს. უფრო ადრეულ პერიოდში ავადმყოფს აწუხებს ხშირი შარდვა, განსაკუთრებით ღამით. შარდსაწვეთში არსებული დაბრკოლების — შევიწროების — გადალახვისათვის შარდის ბუშტის კუნთები მძლავრად იკუმშება, რაც ბოლოს მათი დასუსტებით და შარდის შეხუთვით მთავრდება.

ბუნებრივია, რომ ასეთ შემთხვევებში, საირმის წყალს, რომელიც შარდის გამოყოფას აძლიერებს, მხოლოდ ზიანის მოტანა შეუძლია, რადგან შარდის ბუშტის დაცლისათვის მის ისედაც მოღუნებულ კუნთებს მუშაობის (შეკუმშვის) გაძლიერება უხდება. ასეთ მუშაობას კი იგი ვერ ასრულებს და ვითარდება შარდის შეხუთვა.

ყოვლად დაუშვებელია საირმის წყლით მკურნალობა თირკმლის მენჯიდან შარდსაწვეთში შარდის გადასვლის დაბრკოლების დროს (ჩაქედილი კენჭი, სიმსივნე, შარდსაწვეთის გადაღუნვა). ასეთ შემთხვევებში, საირმის წყლით მკურნალობის შედეგად, შარდი დიდი რაოდენობით გროვდება თირკმლის მენჯში, ე. ი. გუბდება. შარდის შეგუბება კი თირკმელშიდა წნევის მომატებას იწვევს, რასაც საბოლოოდ თან სდევს თირკმლის ქსოვილის განლევა და შარდის გამომუშავების უნარის დაკარგვა.

ასევე წინააღმდეგნაჩვენებია საირმის წყლით მკურნალობა თირკმლების ანთების დროს, როდესაც ავადმყოფს სხეულის შეშუპება აღენიშნება.

რაც შეეხება ღვიძლის, ნალვლის ბუშტის და სანალვე გზების მაღალი სიციხით და სეფსისის მოვლენებით მიმდინარე ჩირქოვან ანთებას, ასეთ ავადმყოფთა მკურნალობა, უმეტეს შემთხვევაში, ქირურგიულია.

იგივე უნდა ითქვას სანალვლე გზების კენჭით დახურვის შესახებ. სანალვლე სადინარებში ჩაჭედილი კენჭი მხოლოდ ოპერაციული გზით უნდა იქნეს მოცილებული.

ხანგრძლივად მიმდინარე ნალვლის ბუშტის ქრონიკული ანთების მკურნალობაც საირმის მინერალური წყლით საფუძველს მოკლებულია. ამ დროს ნალვლის ბუშტის კედლების ანატომიური ცვლილებები ისე შორს არის წასული, რომ მინერალურ წყალს არ შეუძლია მათი გამოსწორება.

თუ კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულის მკურნალობა საირმის მინერალური წყლით გარკვეული დროის განმავლობაში უშედეგო აღმოჩნდა, საჭიროა მკურნალობის ქირურგიული წესების გამოყენება.

თუ ამ დაავადების მკურნალობა მინერალური წყლით არ იძლევა უკეთესობას, ავადმყოფი ხდება და მიღებული საჭმლის ნაწლავში გადასვლა ძლიერ შეფერხებულია, ერთადერთ სამკურნალო საშუალებას ოპერაცია წარმოადგენს, ვინაიდან ჯერჯერობით ჩვენ არ ვიცით სხვა ისეთი საშუალება, რომელიც გადალახავს წყლულის შეხორცების შედეგად წარმოშობილი ნაწიბურებით ან სხვა დაავადებით (მაგალითად, სიმსივნე) გამოწვეულ შევიწროებას.

ამრიგად, საირმეში მკურნალობისათვის წინააღმდეგ-ნაჩვენებია:

1. საშარდე გზების გამტარებლობის შეფერხებით, შარდსადენის შევიწროებით, ჩაჭედილი კენჭებით, შარდსაწვეთების გადალუნვით, წინამდებარე ჯირკვლის ჰიპერტროფიით და სხვა მიზეზებით გამოწვეული შარდვის მოშლილობანი;

2. თირკმლის დაავადებანი მათი ფუნქციის საგრძნობი დაქვეითებით—ნეფროსკლეროზი და სხვ;

3. თირკმლის ანთება სხეულის შეშუპებით;

4. ღვიძლის, ნალვლის ბუშტის და სანალვლე გზების მწვავე ჩირქოვანი ანთება;

5. სანალვლე გზების კენჭით დახურვა;

6. კუჭის ორგანული დაავადებანი ევაკუაციური ფუნქციის საგრძნობი დარღვევით;

7. კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლული გამწვავების პერიოდში, წყლულის სისხლდენისადმი მიდრეკილება;

8. წვრილ და მსხვილ ნაწლავთა მწვავე ანთება;
9. წვრილ და მსხვილ ნაწლავთა წყლულოვანი დაავადებანი, ქრონიკული დიზენტერია—ამებური და ბაცილური;
10. ყველა ის დაავადება, რომლებიც, საერთოდ, წინააღმდეგნაჩვენებია კურორტული მკურნალობისათვის.

*
**

საირმის მინერალური წყლის საუცხოო სამკურნალო მოქმედება დამტკიცებულია არა მარტო მეცნიერულად, არამედ იგი აღიარებულია ფართო მოსახლეობის მიერაც. ამ წყლის შემდგომი მეცნიერული შესწავლა, ახალი მინერალური წყაროების აღმოჩენა და არსებულთა დებიტის გადიდება, კურორტის შემდგომი კეთილმოწყობა კიდევ უფრო გაზრდის მის მნიშვნელობას და საირმე სამართლიანად დაიჭერს შესაფერ ადგილს საბჭოთა კავშირის სახელგანთქმულ კურორტთა შორის.



შ ი ნ ა ა რ ს ი

| | |
|--|----|
| ავტორისაგან | 3 |
| შოკლე ცნობები კურორტის შესახებ | 5 |
| მინერალური წყაროები | 8 |
| საშარდე ორგანოების დაავადებათა მკურნალობა | 14 |
| ღვიძლის და ხალვლის ბუშტის დაავადებათა მკურნალობა | 21 |
| კუჭ-ნაწლავის ქოლნიკულ დაავადებათა მკურნალობა | 23 |
| მკურნალობის ჩვენებანი და წინააღმდეგჩვენებანი | 25 |
| მკურნალობის ჩვენებანი | 25 |
| მკურნალობის წინააღმდეგჩვენებანი | 26 |

რედაქტორი პროფ. ა. წულუკიძე
მხატვარი რ. რევაზიშვილი
ტექნორედაქტორი ი. ხფციშვილი

გადაეცა წარმოებას ასაწყობად 5/X-54 წ.
ხელმოწერა დასაბეჭდად 22/XI-54წ.
ანაწყობის ზომა 5,5×9. ქალაქის ზომა 84×108 ^{1/32}
ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 2,05 სააღრიცხვო ფორმათა
რაოდენობა 1,4 ტირაჟი 3000. შეკვ. № 127ა. უგ 15468

ფ ა ს ი 1 მან. 35 კაპ.

გარეკანი და ფოტოილუსტრაციები დაბეჭდილია საქპოლიგრაფგამომ-
ცემლობის ფოტოცინკოგრაფიაში

საქართველოს სსრ სამედიცინო გამომცემლობა
თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 26

საქმედგამის სტამბა, თბილისი, მედქალაქი

ცხოველური . . . ფორმის იმპრესიონალიზმის
კლასიციზმის დროს . . . იმპრესიონალიზმის
კლასიციზმის დროს . . . იმპრესიონალიზმის

მ. ა. შ.
მ. ა. შ.
მ. ა. შ.
მ. ა. შ.
მ. ა. შ.
მ. ა. შ.
მ. ა. შ.

Иван Исидорович Никобадзе
КУРОРТ САИРМЕ

(На грузинском языке)
Грузმედგის
Тბილისი
1954



